


# კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 35.

აპრილის 21, 1894 წ.

№ 35.

შინაარსი: საგერველო განუჭრეტელოა. გ. წერეთლისა.—საყურადღებო ამბები.—მარიობა, ან მიძინების დღესასწაული ღვთისმშობლისა.—ჩემი თვე-გადასავალი აკაცისა.—აზრი პროფ. ჰომედილისა ქართული ენის შესახებ ხანანაშვილისა.—ახალი სენი იურეთ-გურია-სამეგრელოში.—სვანლების თვე-გადასავალი.—კრიტიკა: მოამბის პუბლიცისტიკა პ. პეტრიძისა.—გიორგაძის ჩემორთული სილოგანისა.

## საკვირველი განუჭრეტელოა.

**მ** დღეებში გამოცხადდა სინოდის განკარგულებისამებრ შედგენილი ქუთაისის სემინარიის პროგრამა. როგორც ჩანს, ქუთაისის სემენარია სამოსწავლო პროგრამით იგივე იქნება, რაც ტფილისის სემენარია. მხოლოდ ლათინურის ენის მაგივრად ბერძნულს ენას ასწავლიან. ეტყობა, ქუთაისის საღვდლოება არ არის კმაყოფილი ასეთი ცელილები და აპირობს შუამდგომლობას, რომ ქუთაისის სემენარიაში ლათინური ენის სწავლება არ მოსკან, რადგან უიმისოთ გაჭირებულნი იქნებაო სემენარიის კურს-დამთავრებულების აკადემიაში, ან უნივერსიტეტში მიღება და უმაღლესი სწავლის გათავებაო.

ლათინურის უარყოფა იმერეთის საღვდლოებას ეკალსავით გულზე დასობია და პროგრამაში რომ საქართველოს მცირე საეკლესიო ისტორიის სწავლებაც აღარ არის, ეს კი არაფრად მიუჩნევია. ჩენის აზრით უმთავრესი ნაკლულევაწება ქუთაისის და ტფილისის სემენარიისა, აი, აქ არის დამარხული, რომ არც ქართული ტიპიკონის სწავლებას, არც

ქართულ საეკლესიო ისტორიას, ქართულ ღვთისმეტყველებას და ოთხთავთა თარგმანების ფილოსოფიურად შესწავლას არ მიდევნ. ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ სემენარიაში კურსდამთავრებული მღვდლები ქართულ მრევლს და ერს შესაფერ მოძღვრებას ვერ უწევენ; ქართულ ენაზე მათი განუეთარებლობით ერში და მრევლში ჭეშმარიტი ქრისტიანობა ეცმა, ქრისტეს სარწმუნოება მხოლოდ გარეგნობით იტაცებს ხალხის თვალს, ხოლო მის გულს კი არ ეკარება. მღვდელს, სოფლის მოძღვარს, არა აქვს ქართულ ენაზე ისეთი სასულიერო განათლება მინიჭებული, რომ ძლიერი, გრძნობიერი სიტყვით გული გაულოს ქართველ ქრისტიანს და შიგ ჩაუნერგოს ჭეშმარიტი სარწმუნოება.

კიდევ ეს არის მიზეზი, რომ ქართველი ერი უფრო-და-უფრო უბრუნდება ძველ კერპთაყენისმცემლობის წესს; თუთხმეტი საუკუნით განდევნილი კერპთაყენისმცემლობა ისევ ბრუნდება ქრისტეს სარწმუნოების ქერქში გახვეული.

დღეს ქართველი, განსაკუთრებით ქალაქებში, თავის ენაზე ვერც წირვა-ლოცვას, ვერც მოძღვრებას და ვერც ქადაგებას ვეღარ ისმენს. ის მიდის გონება-დაზნულო ეკლესიაში, ხედავს იქ გარეგან ბრწყინ-

ეკლესიას ლეგლეთ-მსახურებისას, ესმის უცხო საგალობლები, რომელნიც მას ლიღინათ და ტკბილ სიმღერად მიაჩნია, არა თუ გრძნობით საესე ძველებურ ძღვისპირათ!

ჩვენი საქართველოს საღვთოებება რომ ცოტაოდნით შორს გამჭვრეტელი იყოს და დღეს მკაფიოდ ჰქონდეს დახანული, რაც მას ხელო მოვლის, უეჭველად ასე შეუგნებლად არ მოიქცევა. ის კი არა, იგი ეცდება, რომ ტფილისისა და ქუთაისის სემინარიებში ლათინურ-ბერძნული ენების მაგიერად ქართული ლეთის-მეტყველება ასწავლებიონ და ეცადონ უწმიდესის სინოდის წინაშე, რომ ქართველი სემინარიელები, აი, ამ პროგრამით განსწავლულნი მიიღონ ხოლმე აკადემიაში და უნივერსიტეტშიაც. მაართლაც, რისი მაქნისაა დღეს ქართველი სასულიერო პირისათვის ან ბერძნული, ან ლათინური? არც აკადემიაში, არც უნივერსიტეტში, გარდა მედიცინისა და ისტორიკო-ფილოლოგიურ ფაკულტეტისა ლათინურ-ბერძნული ენები გამოასდგენი არ არიან. ხოლო ვისაც ჰსურს ზემოხსენებულ ფაკულტეტებზე სწავლა, იმათ დამთავრან კლასიკური ღმწაზიები და ის იქნება.

ჩვენ დღეს საქართველოში გვეჭირება მხოლოდ ქართულ ლეთისმეტყველებაზე და ფილოსოფიაზე განბრძნობილი მოძღვარი ჩვენის ძველის ქრისტიანობისა და საღვთო მწიგნობრობის ასადგენათ. თუ ამისთვის არ იღვაწა ჩვენმა საღვთოებებამ, თუ ეს მიმართულება მიყრუვდა და წმინდა სინოდი დარწმუნ-

ნდა, რომ რუსეთის სემინარიებისა და აკადემიის პროგრამით კურს-დამთავრებული მოძღვარიც იმგვართვე გაუწევს სამსახურს ქართველს მრევლსა და ერს, როგორც ჩვენებური, მაშინ ჩვენებური მოძღვარი რაღა საქმით იქნება? ერთს ჩვენებურს მოძღვარე ათი და ოცი შუაგულ რუსეთიდან იქნება მთხოველი აქეთვე გამოაწვევისათვის და კიდევ გამოაწვევდებიან. თუ მართლა მართა ფორმალურად წესების ასრულებაზე მიდგა საქმე, მაშინ სულ ერთი იქნება, რა ენაზედაც გინდა, იმ ენაზე ასრულე. აი, აქ იხსნება კვანძი არა-სასურველი მომავლისა. თუ მართლა საქართველოს ერის ქრისტიანობისათვის საკმაო იქნა უცხო-ენაზე ლეგლეთობა იქნებდნის ასრულება, მაშინ რაღა საქმით იქნებთან ქართველი მოძღვარი და მგალობელი. ამ შემთხვევაში ყოველთვის უცხოას დარჩება უზიარებლობა და შინაურები კერას გარეშე დარჩებიან.

აი, როგორი მხრით უნდა იყოს ჩვენი საღვთოებება საქმეში ჩახედული, თუ იმას არ უნდა, რომ ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მიერ რწმუნებული სამწყსო ხელიდან გამოეცალათ. „სადაც არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი, ნუ გეშინი მცირესა მავას სამწყსოსა, რამეთუ სათნო იყო... განყიდნით მონაგვნი თქვენი და მიცით ქველის საქმე და ჰყავთ თავისა თქვენისა საფსე, რომელი არა დაძვლდეს... ნეტარ იყენეს იგი მონანი, რომელთა მოვიდეს უფალი მათი და პოენეს ივინი მღვიძარანი“...

გ. წერეთელი

საყურადღებო ამბები



მ დღებში გადასცალა საუკეთესო ერის მოღვაწე—იენე ხატისანი. ჩვენი აზრით მეორე ამისთანა მომქმედი და ერის გამაძლიერებელი კაცი საქმით არ ჰყოლიათ ამ საუკუნეში. ეს იყო უმაღლესს სამეურნეო სასწავლებელში კურსდასრულებული, ჩინებულათ ჰქონდა შესწავლული საზღვარ-გარეთის მეფერობა და ეკონომიური კითხვები, ძალიან კარგათ იცნობდა ტფილისის, ერევნის და განჯის გუბერნიის სამეურნეო და სამრეწველო მდგომარეობას. ის არ იყო ზოგიერთ სომხების მოღვაწეებსავეთ მყვირალა, ანუ მოლა-მასრაღინასავეთ მეფილოსოფოსე და მეოხუნჯე. იმას უყვარდა თავ-დავიწყებამდის თავის სომხის ერე, ესმოდა კარგათ ახლანდელი გარე-

მობა რაში მდგომარეობდა და აგორეებულ ზღვაში ხელოვანად ატარებდა თავის საკუთარ ნაეს; დიდი გონიერება უმაჩიებდა, რომ არც ნაეი დედულა და თავისი ერისთვისაც გზის მანათობელ და ჩვენებელ ლამაზად ყოფილიყო. მას აქეთ, რაც ის შეიქნა სახელმწიფო ქონებათა გამგებელი ტფილისის გუბერნიაში, ის ქადაგებდა და თან საქმითაც ასრულებდა ამ აზრს: სახელმწიფო სიმდიდრე აშენებულსა და კეთილმდგომარეობაში შესულ მცხოვრებლებზე უნდა იყოსო დაფუნდებული და არა ადგილმამულის ჩამორთმევით იმის გაღატაკებაზეო. ამისგამო ის ცდილობდა, რაც კი სახელმწიფო თავისუფალი ადგილი იყო, იმაზე დეგანებინა ხალხი და სახელმწიფოთ დავის ატეხას აგრე რიგად არ ეწყობოდა. ახლა უნდა ეკითხოთ, ვის ასახლებდა? იგი ასახლებდა თავის გვარის ერს—ლარისსა და ოსმალეთიდან გადმოსახლებულებს. ამ სახით მისი მეოხებით მთუ



ლო უახაზ-ბორჩალო, ლორის საპრისტავო და, ასე გასინჯე, ახალქალაქის მახრაც სომხებით აიგნო. პატრი და დიდება ამისთანა თავის სამშობლოს მოღვაწეს. მისი მოქმედება ჩვენთვის სამაგალითო უნდა ყოფილიყო. განა ჩვენ კი არა გვყავს მისთანა ადგილზე მოსასახურე?—როგორ არა. გვეყვ. მაგრამ... მეგრამ მხოლოდ სამუხარად და საეპოლოდ...

იე. ხატისანის მოქმედებასა და ჩვენი თანამემამულის მოქმედებას შუა დიდს განსხვავებას დინახავთ. ღმერთმა ქნას, რომ აწ მიინც მოვლენოდეს ჩვენი ერს ისეთი მამულისათვის თვ-დადებულნი მშრომელი, როგორც იყო იე. ხატისანცი თავისიანებისათვის.

\* \*

ოზურგეთისთანა გამოფხიზლებული და წერაკითხვის მოყვარული მახრა ჩვენ საქართველოს კუთხეში ძვირათ მოიძებნება. ქალაქ ოზურგეთს, როგორც მოგვხსენებთ, დროს გასატარებელი ბუღეაჩი აქეს. აქ ყოველ საღამოს იკრიბებიან მოსამახურე პირები და ბანქოსა და ნარდის თამაშში ატარებენ დროს. ზოგიერთ უფრო ზნეობითად ამაღლებულს და გონება-განვითარებულს მოსეირნებებს არ მოწონდათ ასეთი დროს გატარება, რომლის საშუალებითაც მეზობელი მეზობელს და მეგობარს ფულებს უგებდა, აღარბიებდა და განიზრახვს სასარგებლო წიგნების კითხვის შეგოდება. ამ კითხვამ თითქოს ისე გაართო საზოგადოება, რომ ზოგიერთი კარტიოტნიკი და მენარდებეი ცეღარ შოულობდენ თავის საღუებო-ბუფოს. ამის გამო ამ ვებატონებმა თურმე მიმართეს, სადაც ვერ არს, და ისეთი ცუდი თვლით მოაჩვენეს სასარგებლო კითხვა წიგნებისა, რომ წარმოიდგინეთ, რაღაც მანქანებით აწ წიგნების კითხვა მოისპო და ისე უწინდლოთ კარტსა და ნარდის თამაშს შეეცქვიან. აი, რა ზომამდე მიადწიეს ბნელის მოყვარულმა მებანქოებმა და მონარდ-მონარდებმა.

\* \*

ქუთაისის საზოგადოებაში დაიწყება მოსწულეების მისაღებათ ეგზემენები (25) ოქტომბრის აგვისტოს, პირველ განყოფილებაში შეიღარება წლის მარტივლებს უგზემენოთ იღებენ, სწავლა კი პირველ კურსითიდან დაიწყება.

სამსწავლეებო სკოლაში ტფილისის ოცდაექვს (26) აგვისტოს დაიწყება მისაღები ეგზემენები. ტფილისის რეალურ სასწავლებელში განმეორებითი ეგზემენები იქნება: 22, 23, 24, 25, 26, და 27 აგვისტოს. სწავლა კი აგვისტოს დაიწყება.

ტფილისის საიკლ კლასიკურ გემნაქაში განმეორებითი ეგზემენები დანიშნულია 25, 26 და 27 აგვისტოს, ხოლო მისაღები ეგზემენები იქნება 23 და 27 აგვისტოს.

ტფილისის მეორე გემნაქაში დანიშნულია მისაღები ეგზემენები 22 აგვისტოს. ახალს მოწაფეებს მხოლოდ პირველს მოსამზადებელს კლასში მიიღებენ, პირველ დინამიკაშიაც ასეთი განაკარგულდება.

მესამე კლასიკურ გემნაქაში მისაღები ეგზემენები დანიშნულია 24 აგვისტოს, ხოლო განმეორებითი — 26, 27 და 31 აგვისტოს. ეგზემენებს დაიწყებენ დილის შვიდი საათიდან.

\* \*

სამეურნო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ შეადგინონ სამეურნო და სახელოსნო ხელსამძღვანელოები ახალის სამინისტრო სკოლებისათვის, რადგან რუსულ ენაზე ასეთი ხელსამძღვანელოები არ არის.

ჩინებული შემთხვევა ეძლევათ ჩვენს ქართველ აგრონომებს და ტენიკებს, რომ გაისარჯონ და გაუწიონ ჩვენს ქართველს ერს საშვილი-შვილო ღვაწლი. იმათი მოვალეობაა სამშობლოს წინაშე, არ ჩამორჩენ უკან რუსეთის აგრონომებს და ტენიკებს და შეადგინონ ქართულ ენაზე იმ გვარიე ხელსამძღვანელოები, რომ ჩვენს ახალ დაარსებულს სამეურნო და სახელოსნო სკოლებში არ ვადაქვეითონ ქართულ ენაზე სწავლებას.

კაცების სამოსწავლო მოაგრობას აქამდის სულ ის მიზენი მოჰყავს, რომ ქართულ ენაზე ხელსამძღვანელოები არა ვაქეთო. რაჯო ჩვენს ენაზე შეადგინენ ჩვენი ტენიკები და აგრონომები ხელსამძღვანელოებს, მაშინ რაღა უფარი ეთქმისთ, რომ ქართულ ენაზე არ მიტენ ნება სწავლებისა ჩვენს ახლად დაარსებულს სპეციალურს სკოლებში.

\* \*

წელს საზოგადოდ გავლავა საქართველოს ყოველ კუთხეებში. სიმიდები ყოველდღე დაქანა, ვაყი-თელა. მხოლოდ ალაღ-ავაღო პუროს მოსავალი კარგი იყო, რადგან სანამ გავლავა უსწრებდა, ის კიდევ დაწიფდა და შემოვიდა.

\* \*

ს. მეფეროს-ხენში ამ ზაფხულის განმავლობაში იქაური სახიობის მოყვარეთაგან საქველ-მოქმედო მიზნით ორი წარმოდგენა გაიმართა. პირველი წარმოდგენიდან ხარჯს გარდა 53 მან. დარჩა; მეორისაგან 48 მან. და 75 კაპ. ეს ფული დანიშნულეებისამებრ ვადეუცა. სახიობის მოყვარენი დიდათ კმაყოფილნი და მადლობელნი არიან საზოგადოების თანაგონი ბით. განსაკუთრებით და უფულოთადესს მადლობს უძღენიან ბნ ექმის წ. ა. ტარსაიძეს, რომელიც შემთხვევით ორსავე წარმოდგენას დაეწერა და რომელმაც ბილეთების ფასს გარდა, 17 მან. ფულად შეწირა. სულითა და გულით ვისურვებთ, რომ ბნ ტარსაიძის ამგვარი პატიოსანი მავალითისთვის სხვებსაც მიეძმოდ.

### მარიობა, ან მიძინების დღესასწაული ღვთის მშობლისა



ელს სიონის ტაძარში ღიღი ხალხი მიაწყდა. ღამის მთველები იმდენი იყვნენ, რომ გლავანში ვერ ვტვრადენ. თვით ტაძარში პოლიციელთა რაზმი იყო გარშემორტყმული და სასტიკით იცავდა წესიერებას. მრავალი იყო ქართველი მლოცველი ქალი და კაცი. სომხობაც არ აკლდა, ის სომხობა, რომელიც მამა-პაპით საქართველოში ცხოვრებს და საქართველოს წმინდა დღესასწაულმებზედაც დადის. მიძინება ღვთის მშობლისა, ერთი საერო დღესასწაულთაგანია საქართველოში და სიონი ამ დღეს უწინდელ დროში ყოველთვის გაბრწყინებული იყო საღვთისწაულთა წირვა-ლოცვითა და მწუხრითა, რომელზედაც საუკეთესო ქართლ-კახეთის მგალობლები ჰქუქდნენ და ჰქუხდნენ რვა ხმის გალობას

#### ხმა პირველი:

„შობასა ქალწულსა დაიხარსუ და მიცვალებასა საიყვლი არ დაუტყუა ღვთის-მშობელსა, მისკედ ცხოვრებად დაჲა ება ცხოვრებისა და აქ შეოსებათა შენათა ისინი სიკვდილისაგან სულთა ჩვენთა“.

#### ხმა მეორე:

„შეოსებითა შენათა სამარადისოდ შედარებულნი და შექვენათა შინა უცვალებული სსიება, ღვთის-მშობელსა, სამარებს და სიკვდილს ვერ დაგებრკალეს, არამედ ვითარცა დაჲა ება ცხოვრებისა ცხოვრებად მიცვალდა, რომელმან დაამეციდრა საშობარადისა ქალწულისა“.

#### ხმა მესამე:

„ქალწული დაჲს მღვთისწი წინაშე შეიფისა

გუნდათთან წმინდათას უხილავად კვადრების უფავსა, ანკელაზნი მთავარ ანკელოსთანას თუვანის ტემენ, ხოლო მოციქულნი წინასწარმეტყველთათან განცხრებათ, რამეთუ წვეთვის კვადრას ღვთისმშობელი ზირველ საუკუნეთა დემრისა და სხვა.

შენ, მლოცველო ქართველო, მოისმინე ყველა ეს ჰქმნარიტა ქრისტიანული გრძობის აღმძებელი ხმები? მოხედა შენს გულს ეს ზეცად ამაღლებული სიტყვები, რომ იგი გაღებულ იყო ჰქმნარიტა ქრისტეს სარწმუნოებისათვის, რომ სათნოებით გაესებული გული შენი ზნეობით ამაღლებულიყო და განახლებული კაცთ-მოყვარებით დაბრუნებულიყო შენს ოჯახში მარიაამობის ღამის თევიდან?—არა. შენ იქ ისეთი არა გესმოდარა, რომელსაც თვალთან შენი ყურიც დაუტყობო, გულიც გაღებულა და წმინდა ქრისტიანული გრძობით გამსჭვალულიყო.

გული შენი დარჩა ისევ უწინდელთ დაბმული, მხოლოდ გარეგანი ბრწყინვალემა დღესასწაულისა იპყრობდა თვალთა შენთა. როგორი გარეწარიც მიხვედა, ისეთივე გარეწარი დაბრუნდი შინ. შენ ამ ჩვენს დროში იქ მიყავებარ მხოლოდ მამა-პაპის ჩიულებას, ბრუნდები უცან ყოყლადვე დამუნჯებული, გულ-გამქისებული ურწმუნოებით იმისათვის, რომ წმინდა დღესასწაულს ვერ შეუძრავს შენი გული, რადგან გულისშემძვრელი სიტყვა შენის სამშობლო ენასა არ მოხებდრია შენს ყურებს. არა შეიწირვის ლოცვა მლოცველთაგან, თუ არ სამშობლო ენასა ზედა. „სახლო ჩემი სალოცველ არს, ხოლო თქვენ ჰყავთ იგი ქება ავაზაკთა“.

### ჩემი თავგუდასავალი

#### შეფდგა \*)



ილას, გამოვიღვიძებდით თუ არა, ქვეშაგებ-შივე უნდა გვეთქვა ეს ლოცვა: „გმადლობ შენ, უფალო, ყოვლითა გულითა და სხ...“ მერე ხელო-პირს დავიხანდით, ჩაეიცვამდით, წივდებოდით ხატების წინ, საზეპირო ლოცვებს ვიტყობდით და ზედაც დაუჯდომელს მოვებამდით. ლოც-

ვას შემდეგ პირს გავისევლებდით, ე. ი. ცოტა რაიმე ვისაუზმებდით, რომ, იმ დღეს გამოსვლის დროს ჩვენთვის ჩიტს არ დავსწრო და არ ეჯობნა; მერე მიუჯდებოდით წიგნებს, ერთხანს ვკითხულობდით, ესწავლობდით და რომ მოგჩინებოდით, შემდეგ კი საღამომდე თავისუფალი ვიყავით. საღლაღ მოგიკითხავდენ ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ, როცა „სტუმრობიაში თამაშს მოვიღამებდით ხოლმე, გარე ვერგობდით და ერთად პატარა ფარეშებთან, სუფრას ხეს ქვეშ სადმე ჩრდილში ვაგწვდობდით. იქ ჩვენ კრას გარდა მოსაკითხიც მოგვიღობდა. მასინდლმუბათ ყოველთვის ყმაწვილები ვიყავით ხოლმე და

\*) ახილვე „გვლი“ № 26.



სტუმრებდა კი პატარა ფარეშები. უნდა გამოგოცნადეთ, რომ ჩვენი სტუმრები ძალიან უბოძიშოთ გვეტყვიოდნ და გვაბარებდნენ: გვეტყვიოდნ ხოლმე, დაგვახებრჩეო!.. დაგვიღებდნ პირს და რაც კი რამ გავანდა ბტენილით პირში, განსაკუთრებით ცხელი-ცხელ ხაჭაპურებს, ისინი გაბაზდენ ყვირობას: „ვიამე ეხობრჩობით, ეხობრჩობით“; აიტებდნ განგებ ხეულას და დაიწყებდნ ფართხალს. ჩვენ სრული დარწმუნებული ვიყავით, რომ ისინი იგონებდნ ყოველიფერს, მაგრამ ეს თვალთმაქცობა მაინც ძალიან მოგვწონდა, გვახარდა. საღამოს შინ რომ დაებრუნდებოდით, დედა გვეკითხვდა ხოლმე: „რა ქენით? რა ვაკეთეთ? რა თინამშენ? რა ილბანაკეთო? და სხვაინი... საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ სპარტანულათ გვზღადნ. არ გვარიღებდნ არც სიცხეს, არც სიციხეს, არც ღარს და არც აედარს. დიღ-დიღობით ცვიან ელზე ფეხ-შიშველას უნდა გვებრინა. პირველი თოელი რომ მოვიღოდა, ფიქვზე რამდენჯერმე უნდა გავებრინ-გამოგვებრინა; დასოვლებული და სიცხისგან გაკარბებული ფეხებით ცეცხლზე უნდა შეგვეშრო, დარწმუნებული ვიყავით, რომ ამით ტანშითელობა მოგვემატებოდა. ახალ გავაფხულზე რომ წვიმა მოვიღოდა, ჩვენ სახლის ღარს თვის ვუშვებდით, რომ ოქროს ხუტუქი გამოგესლოდა. უშთარესი ყურადღება ჩვენი წირვა-ლოცვაზე და მარხვაზე იყო მიქცეული. სამწუხარო დრო ჩვენთვის დიდ-მარხვა იყო; თელი დღე საღამომდით მოვიღობდით. მასუკან ნახებვარა საუყურემ გაიარა, მაგრამ დღესაც დიდ-მარხვა რომ დღებდა, მე ჩემს ქუქში აღარა ვარ და ვერც მოვიხილ სიკვდილამდე სიყმაწვილიდან დარჩენილ ზაფრას.—საზოგადოდ დიდ ოჯახებში ყველგან ამაღ-მორწმუნება იყო გაერცვლებული: ყმაწვილებს ყველას სჯეროდათ, რომ ჭინკები, ქაჯები, კულიანები და ეშმაკები ქვეყნად დაღიან და დამიანებენ აშინებენო. ეს სენი ჩვენს ოჯახშიდღე მოადებული იყო. ახლა, როგორც ვფიქრობ, ეს სულ მოსამსახურეების ბრალი იყო: იმათ საზოგადოდ ბიქსა და გოგოებს აკრძალული ქონდათ ერთმანეთთან მისელა-მოსელა და თამაშობა; დღე ვერ ხედავდნ და ღამ-ღამომით რომ თავისუფალი ყოფილიყვენ და ვერაივს დაენახათ, ბატონიშვილებს, უწვილებს განძრან აშინებდნ და ისინიც დაღამდ-

ბოდა თუ არა, შიშით კარში ევღარ გამოლიოდნ. არ მახსოვს ისე შეესლიოყო, ან საფარეშოში და ან სამუხალოში, რომ ათასი რამ უცნაური და საშიში არ ეთქვამნ ჩემთვის. დედას რომ ევტყვიოდა ხოლმე ამას, ის გაილიმებდა და მახსოვებდა ხოლმე: „არა, შეილო, ტყუილია! ვინც ცუდს არ იზამს და არც არას დაშავებს, იმას არაფერი არ მოეწინებოა“.


ამ გვარი სიტყვებით დამიდებულს გული საგულეს მქონდა და უშიშარიც ვიყავი, მაგრამ ორმა შემთხვევამ გამიტება გული და ხასიათიც გამომეცვალა: ერთხელ დღე-ღამის გაყრის დროს გადავარე ბოხსტანში და ნესის მოაზრავს ვაპირებდი, დაეუწყებებნა გადავზი-გაღმოვზიე ბარდები და მივავენი ერთ მწიფე ნესეს; მოწყვეტა რომ დავაპირე, გამეველო გულში: არავინ მიყურებდეს-თქო, დავანებე თავი, წამოვდექი ზეზე და მივიხედ-მოვიხედე. მეორეთ რომ დავაპირე და მოვიღომე ნესის მოწყვეტა, თურმე ხელი გადავცდინე ბარდებს და იქვე სხვა ალაგას გადავშალე ფოთლები; იქ თურმე კატა იწვა, მომავარდა ზეზე ფრუტუნით და გაიქცა. მე მაშინვე მომაგონდა ჩვენი მოსამსახურეების სიტყვები, რომ „კულიანები რათაც უნდა გადაიქციეინაო“; ამას გარდა დედის სიტყვებიც მომაგონდა: „ვისაც არაფერი დაუშავებია, იმას არაფერი მოეჩვენებოა“. ვთქვი გუნებაში, მეტი დამნაშაობა რაღა კენება, რომ ზემათ მიწადდა ნესის მოწყვეტამეთი? აღბათ კულიანი იწვა ნესვათ და კატათ გადაიქცა-თქო, ერთიორი დეაკვილე და შემეწიუსხ გული. არ გაუვლია ერთ კვირეს, რომ ამას მეორე შემთხვევაც დაერთო: ტალავერში მადლა ყურძნის მტევნები იყო ჩამოკიდებული, მე პატარა ვიყავი და ვერ აწევდებოდი, მაგრამ ჩემი უფროსი და კი კვებდა ხოლმე. ერთხელ მთვარის ღამეში შევინხე, რომ ჩემი და ტალავერ ქვეშ იდგა და ყურძნის კვებდა. მივიჭერი და შევებეწე: „არნა, გენაცვალე ერთი მტევანი მეც მომიწვიტე-თქო!“ ჯერ ხმა არ გამცა, მაგრამ რომ აღარ მოვეშვი, მომიბრუნდა უცბათ, რალაქწიპურტყულა და დამეჭყანა. მისთანა თქვენმა მტერმა ნახოს, მე იქ სანახავი ნახე: ჩემის დის მაგიერათ ვილაც სხვა იყო, თურმე ჩემ უფროს მძას დავითს, რომელსაც კუჭის სისუსტის გამო ყურძნის ჭამა აკრძალული ქონდა, დის ტანისმარხვა ჩაეცვა და ისე წასულიყო ყურძნის მოსაპარავათ. მე ესეები რა ვიცოდი, ეშმაკად მივიღე და გული შემეწიუსხა. თუმცა ორივე შემთხვევაში ჩემი შეცდომა თვალდათვალ დამიმტკიცეს, მაგრამ ისე გამაფუქდა ხასიათი, რომ ბნელაში, კარში გამოვიღობდი კი არა, ოთახშიაც ვერ ვრჩებოდი მა-

რტო, თუმცა მერვე წელიწადში გადმომდგარი კი ვიყავი.

ერთხელ ზამთარი რომ დადგა, მე და ჩემმა პატარა ფარეშებმა შეიღღ-კოდლები კეთება დაიწყეთ. ქარაფის ხეს რომ ვაკობტებდი, დავიკილე წილი, დავიკარი კოჭხე და შუა გაიბიე. ტკივილს ისე არ შეეუწუხებებარ, როგორც შინს: „ეი თუ გამიწყრენ-თქო“. მოვავროვეთ აბლაბულა, დავიდევი სქლათ გაჭირღხე, ზედ ბაზმა დაუდევი და შევიკარი მაკრათ, მინდოდა არავისთვის გამეზილა, მაგრამ იმ ღამეს თურმე ქვესაგებში შემესწოდა, სისხლის ტბა დამდგარიყო. რასაკერაელოა, ვაიგეს, მიაქიძეს და ნახევარი წლის განმავლობაში ტკივილი არ დამტბრობია. ბოლოს მოვრჩი, მაგრამ ძარღვები კი

ისე დამისუსტდა, რომ მუხლი მომელუნა და დეკულტი. ბგერი მიაქიძეს, მაგრამ, არა მეშველა რა. ამ ხანებში მამა ჩემი ღებუტატად დაინიშნა ქუთაისში სათავადაზნაურო კომისიაში, დედა ჩემმა ურჩია, რომ მეც წავეყავე ქუთაისში და ექიმებისათვის ჩვენებია ჩემი თავი. რადგანაც ფეხის გამართვა არ შემძლო, ქალის უნაგირზე შემსვეს, ქალივით გადამადებინს მხეხუთული ფეხი და ისე წამიყვანეს. ქუთაისამდის ორი ღღის სავალი იყო. გზაში უნაგირზე თურმე ფეხი დამეზილა, შგკრული ძარღვი გაიხსნა, ჩავედი თუ არა ქუთაისში, ფეხი გამეპართა აღარც ექიმი დამქირებია და აღარც წამალი.

აკო



### აზრი პროფ. ჰომმელისა ქართული ენის შესახებ



აკერეელია ქართული ენის და ლიტერატურის შესწავლის საქმე! რუსეთში და დასავლეთ ევროპაში თუ ვისმე უთქვამს რამე ჩენი ენის შესახებ, მისი აზრი უფრო ხშირად სხვის გამოკვლევაზე ყოფილა დამყარებული, ვიდრე საკუთარი შესწავლის ნაყოფი. ამ ქამად ორი, სამი კაცი თუ მოიძებნება მთელს ევროპაში, რომელთაც ქართული ანბანის წაკითხვა შეუძლიათ. იმ დროს, როდესაც ესრედ წოდებულნი არმენისტები, ანუ სომხური ენის და ლიტერატურის შემსწავლენი ათობით ითვლებიან გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ქართულის მკოდნენი, ანუ იბერისტები, სრულებით არ მოიპოვებიან. ჯერჯერობით მაინც მხოლოდ ერთს პროფესორს შევხდი მიუნხენში, რომელსაც ქართული ასოები ცოდნია ამ სამი წლის წინად და ბროსეს მიერ შედგენილი გრამმატიკა ზმნამდის წაკითხავს! ეს მეცნიერი ვახლავთ ცნობილი ორიენტალისტი ფრიც ჰომმელი, პროფესორი მიუნხენის უნივერსიტეტისა. ამ გამოჩენილ მეცნიერს რწამს, რომ ქართულ ენას ნათესაობა აქვს ისეთ ენებთან, რომელნიც საუბედუროდ გამოკვლეულნი არ არიან და მასხადამე ჩენი ენის დამოკიდებულების მათთან აღნიშნავენ შეუძლებელია. პროფ. ჰომმე-

ლმა პირად ჩენთან ბასში გამოთქვა აზრი, რომ ქართულ ენას ნათესაობა აქვს ეტრუსკულ, ბასკულ, ელამიტურ, ჰეტიტურ ენებთან. ამთში ჯერ არც ერთი არ არის გამოცნობილი. ამ ორი წლის წინად ეტრუსკულ ენას სტოკჰოლმის პროფესორი ბაუენ უნათესავებდა სომხურ ენას. პროფ. ჰომმელი ამბობს: მე დეამტკიცებ ქართულ ენის კავშირს ამ ენებთანაო და ვანის ზედწარწერების ენასთან ერთად დეამყარებ აღაროდიულ ოჯახობას ენისასაო. სხვა დროს კიდევ დაუბეჭდია ერთი პატარა წერილი. რომელიც მან გადმოქცა, სადაც იგი უპირდაპირებს ქართულ ენას შიდაფსს. სულ ორ-სამს მაგალითთუა აშენებული პროფესორის აზრი და ეს მაგალითებოც თვალსაჩინონი არ არიან. პირველი მისი მაგალითი არის ზმნა. მედიურად-ტურნა, ტურნაკი, ტურნაშ ალარებს ქართულს: ჟან, ხან, ახს?!. დანარჩენი მაგალითები უფრო დამორბეულნი არიან ერთმანეთზე. (იხილე ჰომმელის წერილი „Oesterreichen Monatschrift für den orient“, სადაც არჩეს ა. დელატრის წიგნს „Le peuple et l'empire des Medes jusqu'à la fin du régime de Cyaxers“). სხვათა შორის პროფ. ჰომმელი იმ აზრისაა, რომ „სიბრძნე ბალავარისა“ ქართულიდან არის ბერძნულად ნათარგმნი. საერთოდ ქართულ ლიტერატურაზე მაღალი აზრისაა, თუმცა ჯერჯერობით ნაკლებად იცნობს.

ა. ხანასელი

ქრევა.



„კარგი რა მჭირდეს, ვიკარდეს  
აგი რა საკვირველია“.




ქამლის იმერეთში და განსაკუთრებით სამეგრელოში ძროხას, ხარს, ცხენს და სხვა ოთხ-ფეხს საქონელს აღარ არჩენდნენ მცხოვრებლებსო—გვეწერს იქაური მეთვალყურე—და ახლა თუმცა ცხენისა და საქონლის ქურდობა მოიშალა, მაგრამ აწ სხვა ნაირი ხერხი შემოაღლიათ ამ დროის რაინდებს თავის არაშავად კუჭის გამოსაძლიამით. უწინ გასამთლულ წერილ ბაჭრებს ესრადენ ზე მინდორში მძაფვარს საქონელს ვაიტაცებდენ; ახლა რაკი ეს აღარ ეხერხებათ, უფრო ჰკუიანს ხერხი მოიგონეს. კალმის წყვითი მონაფარობენ. ერთი რომელიმე ჩვენს დროის გაქნილი რაინდი შეგვედლება ვისმე მეზობელს, რომელსაც შეძლებული მეგობრები ჰყავს და იშოვნის მისი ხელით დაწერილს ბარათებს, შეისწავლის მის ხელს და მერე ამნაირი ხელით მიწერს შეძლებულ მეზობელს თავის მეგობრის მაგიერად წერილს: „შენი ჰიარამე, ხუთი თუმანი—მეტე, ან ნაკლები, როგორც შეატყობს—მეკრდება და ხელაღმდის გამოამიჯანყებო. მეზობელიც ტყუვდება, მიცემს წიგნის მომტანს ფულს და გაუშვებს. შემდეგ, როცა მეზობლები და მეგობრები შეიყრებიან, მოაგონებენ ნასესხებს ფულს. მაშინ კი გამოაჩნდება, რომ მეზობელი გამხდარა ხერხიანი ქურდ-რაინდის მსხვერპლი. ამ გვარადვე იქცევიან მეღუქნებთან კვიტანციების ძლევიტ. ერთი ამგვარი ამბავი შემთხვევია ყარაბან პოვლესძე ნაწიეშვილსაც, რომელიც შემდეგ ნაირად მოგვითხრობს თავის მოტყუებას: „მომწერეს წერილიო ერთი თავადიშვილის მაგიერ, ისე დამზავესბული, რომ ეგრეაინ გაარჩედა, თუ მისგან არ იყოო. მე, თუ გინდა, გამოცდილიც გყოფილიყავი, მაინც ვერ მიეხედებოდიო. ჩემი ნა-

ცნობი თავადიშვილი მწერდა: ხმალი გამოიტყდა უცაბედით და შენი ხმალი მათხოვეო. მაშინვე გავუზახენე. ერთ თვეს იქით შევიტყე, რომ ის წერილი თურმე ყალბი იყო, დაერჩი მოტყუებული“.

ამგავსავე ამავს იწერება ბ-ნი ჰეტრე-მავლიქ

ახლა ჩვენში ახალი მოდისს ქურდობა შემოიღეს. აი, რაში მდგომარეობს ეს ქურდობა: თუ ფული გაქვთ, ან კარგი ცხენი და სხვა რაიმე იარაღი გაბადიათ, ერთ შეწეიერ დღეს მიიღებთ წერილს ისეთი კარგი მეგობრის სახელით, რომელსაც უარს ვერ მტყუიო, გაატანთ ნივთს წერილის მომტანს და მერე ყოველი ძებნა ამაოდ ჩავეილისთ, რადგანაც თქვენი მეგობრის წერილის ნაკვლად ხელით გრჩებათ ვიღაც ქურდ-ბაჯცუების ნაწერი. მერე ისეთი ხელმოწემებით ახერხებენ ამ საქმეს ეს ვაჟ-ბატონები, რომ თქვენ მტირე ექვსაც ველარ მიიტანთ წერილის სიყალბეზე...

წარსულ წლებში ქ. ქუთაისში თურმე მოდნათ შემოიღეს ასეთი ქურდობა და არა ერთსა და ორს შეწეიერი სქესის მოტრფიალე ახალგაზდას მოასმენინეს ხელი ჯიბე-უბზეუ. მაგრამ ქუთაისში უფრო გამოცდილები ბრძანებულან ეს ვაჟ-ბატონები, ვიდრე ჩვენში, რადგანაც აქ მიხვანის მისაღწევად ახალგაზდა ქალებს ირჩევენ ხოლმე; აბა, იმათ კარგადაც ჰქონიათ შეგნებული, რომ ჩვენი „ბულგარბაშების“ ბედ-იღბალი დღეს მხოლოდ ღამაჰ ქალების გულმკერდზე იწერება; აი, მაგალითიც: წარსულ წელში ქუთაისში ერთმა ყველასაგან პატრიცემულმა ახალგაზდა ქალმა მ-მა ვაიგო, რომ მისი სახელით ერთი ახალგაზდა კაცისთვის ათი მანეთი გამოურთმეციათ. ქ-მა მ-მა ეს ამბავი ყველა თავის ნაცრობებს შეატყობინა, რის შემდეგაც ქუთაისის რაინდებს გაუტყდათ მზხანდა; მაგრამ ასეთი ოინები სოფლებში ჯერ-ჯერობით ახალი შემოღებულია და საქმეც ყველთამდე აქეთ ამ ვაჟბატონებს“.



სტანლეის თავ-გადასავალი.




მეცხრამეტე საუკუნეში აფრიკეთის ქვეყნის გამოძიებით ისახელა თავი ორმა რჩულმა ევროპელიმა; ორივე მეცხრამეტე საუკუნის გამოიბრათ არის აღსარებული, რაც იმათ ჯაფა და გამგებლობა გამოიჩინეს, არასფერს აღმაინაშვილს იმათ ოდენი გაჭირვება, მხნეობა და გამგებლობა არ გამოუტყდა ამ ჩვენს საუკუნეში და ღირსნიც არიან

გმირის სახელწოდებისა. ერთი მათგანი ინგლისელი ლიეინგსტონი; მეორეა თუმცა ინგლისში დაბადებული, მაგრამ ამერიკელ-მოქალაქეთ გამხდარი—სტანლეი. ეს მეორე მაინც საოცარი მხნეობის კაცი გამოჩნდა. მისმა მოღვაწეობამ მთელი შუაგული აფრიკეთის ქვეყნისა გააცნო ევროპის განათლებულს ერებს და გაუღვიძა მათ სურვილი იქ მთელი ახალი სახელმწიფოების დაარსებისა. ერთ ამ ახალ სახელმწიფოთაგანი, რომელიც უკვე ბელიის კარილის



მფარველობას ქვეშე იყო და ახლა საფრანგეთს გადაეცა, იწოდება კონგოს სახელმწიფოთ. აქვე დაიფლეს ინგლისმა, საფრანგეთმა და გერმანიამ იმხელა

ფილა კაცობრიობის განათლების აკვანი. ამ ქვეყანას ჩვენი ინტელიგენცია ევროპის მიზაძებით უწოდებს აფრიკად. მაგრამ რადგან შეთერთმეტე საუკუ-



ჯან რი სტანდვი.

ქვეყნის კუთხეები, რომ თითოეული ნაწილი იმ ახლად დაარსებული სამფლობელოების თვით ამ დიდ სახელმწიფოებზე უფროცელესია სიძვე-სივანით. აფრიკეთის ქვეყანა უხსოვრის დროიდან ყო-

ნის სჯულის კანონში, რომელიც წმინდა ეფთემეს შეორედ უთარგმნია, იგი წოდებულია აფრიკეთად, ამისთვის ჩვენც ეს სახელწოდება ვიხმარეთ. ჩრდილო-დასავლელის ნაწილი ამ ქვეყნისა უკირავს ეგვიპ-

პტეს, რომლის ფარაონებს უმჯობესად გაცნობილი და დაპყრობილიც კენებოდათ შუაგული აფრიკეთისა, მაგრამ ამ ცნობებს ჩვენამდის არ მოუწევია. მეექვსე საუკუნის ბოლოს ქრისტეს მოსვლამდის კართაგენის მეფემ განაჩნა განიზრახა შემოეკლა ამ ქვეყნისა, მაგრამ მისი მგზავრობის ამბავი არ მოსულა ჩვენ დრომდის. მიუცილებლათ უნდა ეიგულისხმოთ, რომ არაბთა მისიონერები ძალიან ღრმით შესულან აფრიკეთის შუაგულ ქვეყნებში მაჰმადის საჩუქუნოების გასაერცლებლად, რადგან ლეონგისტონმაც და სტანლეიმაც აფრიკეთის შუაგულში ნახეს ძლიერა მაჰმადის რჯულის სახელმწიფოები

ბით ასრულა ბენნეტის მინდობილობა, რომ ამერიკელი ვაჭრთა „ჰერალდი“ უფრო აღრე და უფრო დაწვრილებით ტყობილობდა აბისინიის ამბებს, ვიდრე თეთი ინგლისის უმაღლესი მთავრობა.

გვიდა რამდენიმე ხანი. სტანლეი ცხოვრებდა ისპანიის სატახტო ქალაქში მადრიდში. ერთ საღამოს დეპუტა მოუტანეს: ბენნეტი წერდა მას: ახალეე პარიჟში მოდიო. სტანლეი მაშინვე გაემზადა საგზავროდ და მესამე დღეს პარიჟში ამოყო თავი. მივიდა დიდ პარიჟის სასტუმროში, სადაც ბენნეტი იდგა და კარზე მიუჩაქუნა.

— შემოდიო—მოსინა მიგინდან.



ჭანრი სტანლეი: ნაკები მსრები უნდა უტარებინათ, კვიდათ.

დიდის ტბების ექტორია-ნიანციის და ალბერტ-ნიანციის კიდევმზე.

თუმცა სტანლეის დიდი ღვაწლი მიუძღვის აფრიკეთის შუაგულ ქვეყნების ამოჩენაში, მაგრამ იმას რომ მფარველად არ გაჩენოდა ამერიკის ვაჭერთის „ჟულიორკ-ჰერალდის“ რედაქტორი ახალგაზდა ბენნეტი, სტანლეი, როგორც ღარიბი კაცი, ვერაფერს მოახერხებდა, ასე რომ სტანლეის გმირულ მოქმედებასთან დაუეწიარო იქნება არა ნაკლებად გონებაგანვითარებული და კაცობრიობის კეთილდღეობის მოსურნე დაუეწიარო ბენნეტი. ბენნეტმა სტანლეი ჯერ აღმირალ ნებართან გაგზავნა აბისინიაში 1867 წელს. სტანლეიმ ისეთი მოხერხებით და გონიერ-

— ეინ ბაძანდებოთ?—ჰკითხა უცხო ეაქვაცს ბენნეტმა.

— სტანლეი გახლავარო.

— აა, დაბაძანდით. მე მიინდა გავაწეოთ ლივინგსტონის საქმერად: იქნება ცოცხალს მიუწეროთ. ბენნეტმა დაუდგა თავისი პირობები; ფული რამდენიც უნდოდა, მზად იყო, პლანიც დაუხატა, როგორ უნდა გამგზავრებულიყო. სტანლეი დათანხმდა და შეუდგა მზადებას. 1871 წელს იმან ჯერ მოვლო ეგვიპტე, იყო ყირიმში, დიარა ჩვენი ქვეყანა საქართველო, აქედან წავიდა ინდოეთში და იქიდან მიადგა აფრიკეთის აღმოსავლეთის მხარეს კანცინარს. რალა ბეერი გავაგრძელოთ, იმან იპოვა ლივინგსტო-



ნი აბსინიის სამხრეთ დასავლეთით შუაგულ აფრიკეთში ტანგანიკის ტბის პირზე და მოპირუნდა ლონდონში.

ამ მოგზაურობის აწერა და სტანლეის თავგადასავალი სულ ამერიკის გაზეთში „ჰერალდში“ იბეჭდებოდა.

1874 წელს ევროპაში მოვიდა ამბავი, რომ ლიენგსტრაი მოამკედარაო. მთელი ევროპის სახელმწიფოების უმალეს მთავრობებში აღიძრა სურვილი, რომ ვისმისთვის მიენდოთ აფრიკეთის შუაგულის გამოკვლევის განგრძობა. მდიდარ ევროპის გაზეთებსაც საინტერესოთ მიაჩნდათ ეს ამბავი. ერთ-ერთ ინგლისის გაზეთის „დალ-ტელეგრაფის“ რედაქტორი შევიდა რედაქციის კანტორაში, საცა იმ დროს მუშაობდა სტანლეი და სამაუფლო ლიენგსტრანზე ლაპარაკი. სტანლეიმ თქვა, რომ საქორაო ტბის ტანგანიკის სათაფის გამოარკვევა; არც ის იცის მიენიერებამ, საიდან იწყება მდინარის ნილოსის სათაფიო. — იკისრებთო ამ საქმის გამოკვლევას? — ჰკითხა დაიელტელეგრაფის რედაქტორმა. — დიდი სიამოვნებითო — უპასუხა სტანლეიმ. ინგლისის გაზეთის რედაქტორი იმავე წაის დეპუტით შეეკითხა ნიუიორკში ბენნეტს: გასურთ თუ არა იტივითათ დაილტელეგრაფის გაზეთთან ერთად ხარჯი სტანლეის გასაგზავნათ აფრიკეთში, რომ განავრძოთ გამოკვლევა ლიენგსტრანისო? მეორე დღეს ამერიკიდან მოვიდა ორი სიტყვა დეპუტა: „დაა, ბენნეტი“.

სტანლეიმ შეუტყუთა გემი, სახელად „ლედი ალისა“ ექვსი საფეი სიგრძე, საფეი განი და ერთ არმინზე მტრი სიღრმე. ვინიცოხაა, აღვაგალა წყლიდან ამოღება და ზურგით ზიღვა მოგვიდესო, ისე გააკეთებინა, რომ საქორიებისამებრ გემი ექვს ნაწილად დაიშლებოდა. მრავალი კაცი ეხვეწებოდა სტანლეის: არა მე წაიყვანე, არა მეო, მაგრამ იმან ააჩრია მხოლოდ სამა კაცი: ფრედერიკ ბერკერი და ძმები პოკოკები.

აფრიკეთის კუნძულს ცანკიბარს რომ მივიდენ, აქ სტანლეიმ დაიქირავა ორას-ორმოდა-დაათი კაცი — სულ არაბები. აქედან დაიწყება სტანლეის საოცარი თავგადასავალი უდაბურს ტყეებში სიარულით: ცალკე შიში და ბრძოლა ველურ ხალხებთან, ცალკე უზარმაზარ მხეცების სპალოების, გველების ნიანგების და ლომების შიში, ცალკე სიტყვ, შიმშილის

თენა. მაგრამ სტანლეიმ თავისი აუტჩარებელი ზნაით და კირში გამხნეებით მისი ხლებული ჯარი თავდაღწევაში მინდოდა და შეიკავშირა. თუმცა ბევრ მწუხარებას ითმენდენ არაბები, მაგრამ სტანლეის გულისთვის ცეცხლში ჩაეარდებოდენ. ზნით გემს ლედი ალისას ზურგით ატარებდენ. იმათ იარს აფრიკეთის შუაგულისკენ, მრავალი გაკირებდა და ავად-მყოფობა გამოკადეს გზაზე, ხან უწყლო თვალ-გაღუწვდენალს და უღვევლს უდაბნოებზე მგზავრობდენ, ხან ჰაობან ადგილებში, ხან უტბ ტყეებში და მასთან უნდა ეტივითათ ნიდაგ მტერთან ბრძოლა, შიმშილ-წყურვილი და საშინელი ციებ-ცხელება. ბოლოს ოთხი თვის მგზავრობას შემდეგ მიატანეს ვიქტორია-ნიანცის დიდ ტბაზე. ორას ორმოდა-ათ კაცში ნახევარი აღარ მიყოლოცა ცახალი, სულ გზაზე გაწყდენ. ამ ტბიდან გამოდის ნილოსის სათაფეი. ამ თვალგაღუწვდენულს ქვეყანას, რომელსაც ერქვა უვანა, ფლობდა ხელმწიფე — სახელად მტეზა, კახაკამ (ხელმწიფე), როგორც კი შეიტყო თეთრი კაცების სტუმრება (ე. ი. ევროპელების), მაშინვე თავის გემებით ტბაზე ჯარი მოაგება. მხედართ-მთავარი თეთრი თხის ტყავით მოსხმული წარუღვა წინ სტანლეის და მოახსენა:

კახაკამ (ხელმწიფე) თვი დაეკრათ და ინება თქვენი ნახვაო. ამას შემდეგ იქ გარემეო სოფლებში ბრძანება გასცა, რომ საკმელო-სამელო და ყოველნაირი სამზადისი მრაველად დამზადებინათ, რომ თეთრ კაცებს შვიი კაცებისაგან არაფერი გაკირება მიადგესო. სტანლეი თავის გემით „ლედი ალისათ“ გაემგზავრა მტეზის სატანტო ქალაქში. მოგზაური მალე შევიდენ ტბის უბეში, რომელსაც მურჩისონის უბე ერქვა აქ სტანლეის დახედა კახაკას გამოგზავნილი გაწყობილი ჯარი. იგი სტანლეის მიეგება თათის სროლით, დათოთა და საკრავებით.

— მტეზა სწორედ ღირსია ევროპის ხელმწიფეების ყურადღებისაო — წერს თავის დღიურში სტანლეი — თუმცა იგი მართაჟს თავის ხალხს დიდებით და განუსაზღვრელი უფლების მექანე არის, მაგრამ ამასთანავე იცის უტხო ქვეყნლების პატივისცემა და უყურადღებოთ არ ტოყვის თავის ქვეშევრდომების გაკირებულ მდკომარობას.

(შემდეგი იქნება)



# კ რ ი ტ ი კ ა

## „მომამბის ბუმბლიესტრია“

(№ 5 ღ ა ნ)

დასასრული \*)



